

(კამარების „მარმარილოს“ სვეტები იონიური და კორინთული სვეტი-სთავეებით, ტანსაცმლის დრაპირება და სხვ.). იგივე შეიძლება ითქვას ადიშის ოთხთავის მხატვრობაზეც.

როგორც არქეოლოგიური გათხრები გვიჩვენებს, IX—X სს. ჩვენში განვითარებული ყოფილა ხელოსნობისა და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგიც.

ქართული კულტურის მოკროს ხანა

(ქართული კულტურა XI საუკუნიდან XIII საუკუნის 20-იან წლებამდე)

XI—XII საუკუნეები საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანა იყო. დასრულდა X საუკუნის 70-იან წლებში დაწყებული ქვეყნის გაერთიანების პროცესი, ერთიანი ქართული სახელმწიფო თანდათანობით იქცა ანგარიშგასაწევ ძალად მახლობელ აღმოსავლეთში. იგი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ცხოვრებაში, გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან.

ქართული კულტურა ხელსაყრელ პირობებში ვითარდებოდა. აღორძინდა კულტურის ძველი კერები, მათ გვერდით გაჩნდა ახალი. აღმავლობის გზას ადგა მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე მდებარე საქართველო ითვისებდა დასავლეთის ქრისტიანული კულტურისა და ისლამის ნიადაგზე შექმნილი არაბულ-სპარსული კულტურის მიღწევებს, რაც ხელს უწყობდა ქართული მწერლობისა და ხელოვნების განვითარებას. ქართულმა კულტურამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანების საქმეში.

1. სწავლა-განათლება. კულტურის კერები

სწავლა-აღზრდის ძირითად კერებს ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდა. მათთან არსებობდა სკოლები, რომლებიც მწიგნობარ ბერ-მონაზვნებს, ეკლესიის მსახურებს ამზადებდნენ.

გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფის ცნობით, გიორგის მშობლებმა თავიანთი ქალიშვილი თეკლე, როცა იგი შვიდი წლისა გახდა, ტაძრის (სამცხე) დედათა მონასტერში მიიყვანეს და მის წინამძღვარს ჩააბარეს, რომელმაც „შვითვისა იგი“ და „კეთილად აღზარდა“. შვიდი

წლის გიორგიც ტაძრისში მიიყვანეს. იგი იზრდებოდა „მონასტერსა მას შინა, და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა ღვთაებისა მისგან“, აწ უკვე გაზრდილი და განსწავლული „ღისა მისისაგან“. დაწყებითი განათლების მისაღებად გიორგიმ ტაძრისში 3 წელი დაჰყო, შემდეგ ბიძებმა იგი ხახულს წაიყვანეს, წარუდგინეს ლავრის მოძღვარს და „ეგრეთვე დიდსა ბასილის, ბაგრატის ძესა“ და საწვრთნელად ჩააბარეს „მოძღუარებათა შინა“ განთქმულ ილარიონ თუალელს.

როგორც ჩანს, სხვა სამონასტრო ცენტრებზე ასრულებდა სასწავლო ფუნქციას. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დიდ მონასტრებთან (ობიზა, შატბერდი, ხანძთა, ოშკი, ოთხთა ეკლესია) ხშირად გვხვდება მოზრდილი, მონასტრისაგან ცალკე მდგომი შენობები, რომლებიც, ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, მონასტრებთან არსებული სასწავლო დაწესებულებებისათვის (სემინარიებისათვის) უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ ხახულში გიორგის ასწავლიდნენ თეოლოგიას („ესრეთ ყოველნივე საღმრთონი წერილნი ძუელსა და ახლისა შჯულისანი, რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოვნა, ყოველნივე კეთილად გულად იხუნა“), გალობას, ჰიმნოგრაფიას, ლიტურგიკას: „უწყეს სწავლათაჲცა საეკლესიოთა და სამღვდლოთა, ... და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავნა“. ხახულში გიორგი 10 წლისა მიიყვანეს, ე. ი. ეს საგნები 10—13 წლის ასაკში ისწავლებოდა.

სამეფო კარისა და დიდგვაროვანთა შვილების აღსაზრდელად ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლათა გარდა, გავრცელებული ყოფილა კერძო სახის საშინაო სწავლებაც. XII საუკუნეში თამარის აღზრდას მეთვალყურეობდა მისი მამიდა რუსუდანნი; რუსუდანსავე „მოეყვანა საზღვლად სახლსა შინა მისსა“ დავით სოსლანი.

მრავალი ქართველი ახალგაზრდა ბიზანტიის სკოლებში იღებდა ბერძნულ სწავლა-განათლებას. მათი ნაწილი დროებით ან სამუდამოდ სახლდებოდა ბიზანტიაში. მაგალითად, 1027 წ. „წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ებისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“. ვაჩე კარიჭის ძის ოჯახიდან იყო ცნობილი მოღვაწე და მოაზროვნე ევრემ მცირე, რომელმაც განათლება ბიზანტიაში მიიღო. გიორგი მთაწმინდელმა საქართველოდან ბიზანტიაში წაიყვანა 80 ყმაწვილი. სომეხი ისტორიკო-

სის ვარდან დიდის ცნობით, დავით აღმაშენებელმა 40 ახალგაზრდა გაგზავნა საბერძნეთს იქაურ სკოლებში განათლების მისაღებად და მთარგმნელობით ხელოვნებაში გასაწვრთნელად.

XII საუკუნიდან საქართველოში არსებობდა უმაღლესი სკოლები — აკადემიები. საისტორიო წყაროების პირდაპირი და უტყუარი ცნობა მხოლოდ გელათის აკადემიის არსებობის თაობაზე მოგვეპოვება. როგორც ქართული წყაროებიდან ჩანს, გელათის ანსამბლის მშენებლობას დავით აღმაშენებელი 1106 წ. შეუდგა, საბოლოოდ გასრულება ვერ მოასწრო და ანდერძად შეიღს — დემეტრეს დაუტოვა. ანდერძში დავითი ამბობს: „ხოლო დამრჩა მონასტერი სამარხსავე ჩემი და საძვალე შეიღსა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთვისცა ტკივილი სამარადისო. აწ შეიღმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყუა ყოვლითურთ საუკუნოდ ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის“. 1126 წ. მშენებლობა უკვე დასრულებული ჩანს.

მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა გელათში ადრევე გაჩაღდა. სწავლულმა მეფემ არ დაუცადა მშენებლობის დასრულებას და ქართველ მწიგნობრებს ადრევე მოუყარა თავი: „მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადაცთა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და ხორციელთა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრა მას შინა“. როგორც ვხედავთ, მეცნიერ-მწიგნობრები არა მარტო საქართველოდან შეკრიბეს, არამედ ყველა იმ ცენტრიდან, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ. ასეთი ცენტრები კი იმ დროს მრავლად არსებობდა — პალესტინაში, სირიაში, ბიზანტიაში, ბულგარეთში. მოწვეულთა შორის იყვნენ იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუტეს-მონაზონი, იოანე ტარიჭისძე და სხვანი, რომელთაც გელათში ფრიად ნაყოფიერი სამეცნიერო-ფილოსოფიური მუშაობა გაშალეს. დავითმა გელათის მამულები შესწირა და მის მკვიდრთ „უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“.

გელათის აკადემიის საგანგებო თანამდებობის პირი ხელმძღვანელობდა, რომელიც „მოძღუართ-მოძღუარის“ ტიტულს ატარებდა. თანამედროვე ტერმინოლოგიით, ეს იყო რექტორი. იგი დიდმოხელე სასულიერო პირებს (ჰყონდიდელი, „კათალიკონნი ქართლისა და აფხაზეთის“ და სხვ.) შორის პირველი იხსენიება. სამეცნიერო ლიტერატურ-

რაში აღნიშნულია, რომ ტერმინი „მოდლუართ-მოდლუარი“ ძალზე ენათესავება ბიზანტიური უმაღლესი სკოლის მეთაურის („დიდასკალოს ტონ დიდასკალონი“) სახელწოდებას.

დავითის ისტორიკოსი გელათის აკადემიას ახასიათებს „ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღუარად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უადრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად“. ცნობილი ქართველი პოეტი იოანე შავთელი კი გელათს რომსა და ელადას ადარებს:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო უფროს იქმნესო მყოფთა
ყოველთა:
ენატრი ელადას, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენი
წმიდათ სხეულთა“.

მოგვიანო ხანის ცნობების თანახმად (დავით რექტორი, თეიმურაზ ბაგრატიონი, პ. იოსელიანი და სხვ.) XII ს. საქართველოში, გელათის გარდა, არსებობდა აკადემია იყალთოში. მას არსენ იყალთოელი ხელმძღვანელობდა. ამ ცნობებს ადასტურებს იყალთოს მონასტრის გალავნის შიგნით, სამხრეთ ნაწილში დაცული გრძელი ორსართულიანი სამოქალაქო ნაგებობა, რომელსაც აღმოსავლეთით საწნახელიც ეკვრის და რომელიც XII საუკუნის ქართული აკადემიის შენობადაა მიჩნეული.

გადმოცემით, უმაღლესი სკოლა უნდა არსებულიყო გრემშიც, მაგრამ ამის თაობაზე რაიმე სარწმუნო ცნობა არ მოგვეპოვება.

მკვლევართა აზრით, ქართულ აკადემიებში სწავლების ისეთივე სისტემა არსებობდა, როგორც იმდროინდელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში. სასწავლო გეგმა შვიდ სასწავლო დისციპლინას მოიცავდა, ეს იყო ე. წ. trivium-quadrivium (სამი-ოთხი) ციკლი: გეომეტრია (ქვეყნის სამზომლო), არითმეტიკა (რიცხუნი), მუსიკა (სამუსო), რიტორიკა, გრამატიკა (ღრამატიკოსობა), ფილოსოფია (ფილოსოფოსობა), ასტრონომია (ვარსკვლავთმრიცხველობა). ეს ვარაუდი ემყარება იოანე პეტრიწის ორიგინალურ ფილოსოფიურ თხზულებას „განმარტება პროკლე დიადოხოსის და პლატონური ფილოსოფიისათვის“; მის ბოლოსიტყვაობაში ავტორი დაწვრილებით მსჯელობს ზემოთ აღნიშნულ შვიდ სამეცნიერო დისციპლინაზე, რომლებიც მას საღვთისმეტყველო განათლების ორი ციკლის სახით წარმოუდგენია. როგორც ს. ყაუხჩი-

შვილი აღნიშნავდა, „ეს ის ტრივიუმ-კვადრივიუმია, რომელიც წარმოადგენდა უმაღლესი განათლების საფუძველს ყველგან მაშინდელ მსოფლიოში, მათ შორის გელათშიც“.

დასახელებული საგანგებო საგნების გარდა, შეიძლება გეგმაში შეტანილი ყოფილიყო დამატებითი საგანიც (მედიცინა, სამართლის მეცნიერება და სხვ.). გელათის აკადემიაში, როგორც ფიქრობენ, მედიცინა ისწავლებოდა. მიჩნეულია, რომ XIII ს. დასაწყისში თარგმნილი სამედიცინო ხასიათის „წიგნი სააქიმო“ ქართული უმაღლესი სასწავლებლის მედიცინის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა. დავითის ისტორიკოსი, გელათის მონასტრისა და აკადემიის აშენების შესახებ თხრობის დასასრულს, გვაუწყებს, რომ მეფემ „აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი თვეითოსახითა სენითა განცილინი“. ზოგი მკვლევრის მოსაზრებით, ეს ქსენონი (საავადმყოფო) დაარსებულ იქნა გელათში და ემსახურებოდა გელათის აკადემიის სამედიცინო კათედრას.

იყალთოს აკადემიაში, ძირითადი საგნების გარდა, ვარაუდობენ გამოყენებითი მეცნიერების დარგების — მეტალურგიის (მჭედლობა) და აგრონომიის (მევენახეობა-მეღვინეობა) სწავლებას.

XI—XIII სს. საქმიანობას განაგრძობდნენ ეკლესია-მონასტრები და იქ არსებული ლიტერატურული და სამეცნიერო კერები: ოპიზა, ხანძთა, პარეზი, წყაროსთავი, ანჩი, ბანა, ხახული, ტბეთი, აწყური, თმოგვი და სხვ.

ერთ-ერთი ასეთი საგანე და კულტურის მძლავრი კერა იყო გარეჯის უდაბნოს სამონასტრო ანსამბლი, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები, ხუროთმოძღვრები, მხატვრები.

ამ კერას საფუძველი ჩაეყარა VI ს. პირველ ნახევარში, როცა საქართველოში მოვიდა პირველი ასურელი მამა — დავითი (გარეჯელი) თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად და დაესახლა გარეჯის უდაბნოში, პატარა ბუნებრივ მღვიმეში. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა დავითის ლავრის სახელით. დროთა განმავლობაში აქ ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსები: წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, დოდოს რქა, უდაბნო, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები, პირუკულმარი და სხვ. დავითგარეჯას არ აკლდა სამეფო კარის, დიდებულთა თუ საეკლესიო მოღვაწეთა უხვი შეწირულებანი. XII საუკუნეში გარეჯში მოღვაწეობდნენ ონოფრე გარე-

ჯელი, რომლის ინიციატივითა და ჩაგონებით დაიწერა „დავით გარე-
ჯელის ცხოვრება“ (მისი ავტორი ასევე გარეჯელი მწიგნობარი უნდა
იყოს), და დემეტრე I, რომელიც სამეფო ტახტის მცირე დროით და-
ტოვების პერიოდში ბერად აღიკვეცა გარეჯის უდაბნოში. ცნობილია
დემეტრეს ლიტერატურული შემოქმედება, მისი იამბიკოები (მათ შო-
რის, „შენ ხარ ვენახი“). ალბათ, ბერად შემდგარი მეფე მონასტერშიც
განაგრძობდა ლიტერატურულ საქმიანობას. XII საუკუნის მიწუ-
რულს აღმოცენებულ ბერთუბანში ჩამოყალიბდა დიდად განვითარებუ-
ლი სამხატვრო სკოლა.

საქართველოში ასურელ მამათა მოსვლას უკავშირდება შიომღვი-
მის მონასტრის დაარსებაც VI ს. მეორე ნახევარში, იოანე ზედაზნელის
მოწაფის, შიოს მიერ. დროთა განმავლობაში შიომღვიმე დაწინაურე-
ბულ სამონასტრო ცენტრად იქცა. XI საუკუნეში იქ მოღვაწეობდა კა-
თალიკოსი ბასილი, რომელმაც თავი მოუყარა და ლიტერატურულად
დაამუშავა გადმოცემები შიო მღვიმელის სასწაულმოქმედებათა შესა-
ხებ. როგორც ფიქრობენ, ბასილი ეფრემ მცირის ძმა უნდა იყოს —
კარიჭისძე. შიომღვიმეში გაატარა ცხოვრების უკანასკნელი წლები
არსენ იყალთოელმა, იქვე დაასრულა დოგმატიკურ-პოლემიკური კრე-
ბული „დოგმატიკონი“. ამავე მონასტერში მოღვაწეობდა სამეფო კა-
რთან დაახლოებული ბერი არსენი, რომელსაც დავით აღმაშენებელი
შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძში თავის „სასოს და
განმანათლებელს“ უწოდებს, აგრეთვე კალიგრაფი გიორგი ხუცესმო-
ნაზონი (XIII ს.).

არაერთი მწიგნობარი მოღვაწეობდა რუსის კათედრალში. მათ
შორის განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ XI ს. ისტორიკოსი ლეონტი
მროველი — „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ქართული კულტურის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებდა
უცხოეთში არსებული ქართული საგანეები. იქ მოღვაწე ქართველ
მეცნიერთა, მწერალთა და მთარგმნელთა მეშვეობით ქართული განა-
თლებული საზოგადოებისათვის შედმიწევნით კარგად იყო ცნობილი
ყოველივე ახალი, რაც იქმნებოდა ბიზანტიასა და მთელს აღმოსავლურ
ქრისტიანულ სამყაროში.

საზღვარგარეთის ქართული საგანეები ქართველ მეფეთა საგანგე-
ბო ზრუნვის საგანი იყო. დავითის ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ მე-
ფემ „ლაგრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ
სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმინდის და ბორღალეთისანიც,

მერმეცა ასურეთისა და კუპრისა, შავი მთისა, პალესტინისანი, აღა-
ვსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი,
და მყოფნი იერუსალემისანი თვითოფერთა მიერ შესაწირავთა განამ-
დიდრნა. კუალად უშორესცა ამათსა: რამეთუ მათსა სინასა... აღაშენა
მონასტერნი, და წარსცა ოქრო მრავალათსეული... და წიგნები სა-
ეკლესიასო სრულებით“.

ბასილი ეზოსმოდგარი წერს, რომ თამარი „წარავლენდის სა-
რწმუნოთა თუსთა და დავედრის ესრეთ: „იწყეთ ალექსანდრიით ყო-
ვლისა თანა ლუბისა, სინისა მთისა, და მათ კერძოთა ეკლესიათა,
მონასტერთა და ქრისტიანეთა მოიკითხვიდის. ხოლო იერუსალიმი-
სათუს რადლა საჭმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოვე-
ლთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა, და სიწმინდეთა საბურავე-
ბსა და მონაზონთა და გლახაკათუს ოქროთა აურაცხელთა“.

ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი საზღვარგარეთული ცენტრები
იყო ათონის მთის ივერთა მონასტერი, შავი მთა (სირიაში, ანტიოქიის
მახლობლად), ჯვრის მონასტერი (პალესტინაში) და პეტრიწონის მო-
ნასტერი (დღევანდელ ბულგარეთში).

ათონის მთაზე 40 წელი გაატარა ივერთა მონასტრის დამაარსე-
ბელმა იოანემ, აქედან 20 — მისსა და თორნიკეს მიერ დაარსებულ მო-
ნასტერში. უკანასკნელ წლებში, იოანეს ავადმყოფობის გამო, მონა-
სტრის საქმიანობას მისი ვაჟი ექვთიმე უძღვებოდა. გარდაცვალების
წინ (1005 წ.) იოანემ წინამძღვრად ექვთიმე დაადგინა და „ყოველი
ხელმწიფებაჲ და უფლებაჲ მას მისცა“. სწორედ ექვთიმეს ხელმძღვა-
ნელობითა და მისი თავდადებული მუშაობით ჩამოყალიბდა ათონის
ლიტერატურული, საგრამატიკო და კალიგრაფიული სკოლა.

იოანეს ანდერძში შემონახული ცნობის თანახმად, ბევრი წიგნი
ექვთიმემ მამის რჩევითა და დახმარებით თარგმნა. არ დარჩენილა ქა-
რთული სასულიერო-საეკლესიო მწერლობას არც ერთი დარგი, რომ-
ლის განვითარებასა და გამდიდრებაში ექვთიმეს აქტიური მონაწილე-
ობა არ მიეღო. იგი წერდა ორიგინალურ თხზულებებს ქართულად და
ბერძნულად, თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად და პირიქით. სა-
კმარისია მოვისხენით თუნდაც მის მიერ ქართულიდან ბერძნულად
თარგმნილი „სიბრძნე ბალაჰვარისი“. ექვთიმე ხელმძღვანელობდა სა-
განგებოდ შემუშავებული მთარგმნელობითი პრინციპით, არჩევდა სა-
თარგმნელ მასალას, ითვალისწინებდა მკითხველის მომზადების დონესა

და მოთხოვნები, საჭიროების მიხედვით ამოკლებდა, ავრცობდა, ამდიდრებდა ტექსტს და იძლეოდა განსხვავებულ რედაქციას („ხელეწიფებოდა შემატებადცა და დაკლებადცა“). თანამემამულეთა აღიარებით, ექვთიმემ „განანათლა და შეამკო ნათესავი და ენა ჩუენი“ (გიორგი ათონელი), „განავრცელა და განანათლა ქართველთა ენა“ (სვიმეონ დვალი); მისი „სახელი და ღირსება არა ხოლო საქართველოსა ოდენ განეფინა, არამედ საბერძნეთსაცა“. ექვთიმეს დამსახურების აღიარებას მოწმობს მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცლად აღწერა, მის სახელზე დაწერილი საგალობლები და ა. შ. გიორგი ათონელის ცნობით, ექვთიმეს მოღვაწეობას ინტერესით აღევნებდა თვალს დავით კურაპალატი. იგი საგანგებოდ ზრუნავდა ექვთიმეს თარგმანთა გამრავლებასა და სამშობლოში ჩამოტანაზე.

იოანე და ექვთიმე ათონელების ტრადიციათა ღირსეული გამგრძელებელი იყო გიორგი მთაწმინდელი (1009—1065 წწ.), რომელმაც თავის წინამორბედთა ცხოვრების ბრწყინვალე აღწერა დაგვიტოვა. იგი ჯერ შავ მთაზე მოღვაწეობდა, ათონზე კი 1040 წ. მივიდა თავისი მოძღვრის, გიორგი შეყენებულის (შავმთელის) მოწოდებითა და თხოვნით. გიორგი მთაწმინდელი (ათონელი) წარმოგვიდგება როგორც შესანიშნავი ისტორიკოსი, ბრწყინვალე მწერალი და მთარგმნელი. მისი ბიოგრაფიის — გიორგი მცირეს (ხუცესმონაზონის) სიტყვით, „ეგვივითარი თარგმანი თუნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთუმესსა სსუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და, ვჰგონებ თუ, არცა გამოჩინებად არს“. მისივე ცნობით, გიორგის უთარგმნია ქართული ლიტერატურისათვის სრულიად უცნობი თხზულებები, განუახლებია ან სრულუყვია ძველი თარგმანები — „წუთ ვერ კეთილად გადმოღებულნი გინა თუ ყამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მხმარებელთაგან დაგესლებულნი“, გაუსრულებია ექვთიმეს მიერ დაწყებული და „წუთ უცალოებისაგან ვერ სრულქმნილნი“ თარგმანები, ზოგი სხვა კი ბერძნულ დედნებთან შეუჯერებია და დაუხვეწავს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცავად და უცხოეთში ქართული კერების შესანარჩუნებლად. იმხანად შავ მთაზე მოღვაწე ბიზანტიელმა ბერებმა განიზრახეს ქართველთა განდევნა იქაური ქართული მონასტრიდან. ამ მიზნით მათ სვიმეონწმინდის მონასტრის ქართველებს ცილი დასწამეს, თითქოს ისინი ჰეშმარტი მართლმადიდებლებ-

ბი არ იყვნენ და „მწვალებელთა“ ჯგუფს ეკუთვნოდნენ. „განიზრახეს გულარძნილობით, რაათა წმიდასა ამას და მართლსა სარწმუნობასა ჩუენსა ბიწი რაჲმე დასწამონ, — მოგვითხრობს გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი), — და ესრეთმცა სრულად აღმოგუფხრნეს დიდებულსა ამისაგან ლავრისა პირველითგან თვით წმიდისა სვიმეონის მიერ დამკვიდრებულნი“. დახმარებისათვის ბერძნებმა ახლად დანიშნულ პატრიარქ თეოდოსის მიმართეს. ამ უკანასკნელმა საკითხის გასარკვევად ქართველთაგან ისეთი პიროვნების გამოძახება მოითხოვა, რომელიც ბერძნული ენისა და მწერლობის მცოდნე იქნებოდა. ბერძნებმა ასეთად გიორგი მთაწმინდელი დაასახელეს და პატრიარქს მოახსენეს: „არს ერთი ვინმე მონაზონი ღრამატიკოსი და ბერძნულთა წიგნთა ქართულად თარგმნის“. თეოდოსიმ გიორგის მოყვანა ბრძანა. მასთან საეკლესიო საკითხებზე საუბრით მოხიბლულმა პატრიარქმა ჰკითხა გიორგის, რომელიც, მისი აზრით, თუმცა „ნათესავით ქართველი“ იყო, მაგრამ „სხვითა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი“: „არს რაჲ ნაკლულევანებაჲ მართლისა სარწმუნობისაჲ მათ თანა? ვინა ურთიერთას განყოფილებაჲ მათ შორის და ჩუენ შორის?“ გიორგის დაწვრილებითმა და საფუძვლიანმა განმარტებამ „განაკვირნა მსმენელნი“. ამის შემდეგ პატრიარქმა ქართველთა ავისმომგონი „ფრიად შეჰრისხნა და კანონსა ქუეშე საეკლესიოსა შეყარნა“, გიორგის კი „ქებაჲ და ნეტარებაი შეასხეს“. ქართველებმა სვიმეონ წმინდის მონასტერში ყამის წირვის უფლებაც მიიღეს (რაც ადრე არ ჰქონდათ).

1057 წ. შავი მთის ბიზანტიელმა ბერებმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი დააყენეს. როგორც გიორგი მცირე მოგვითხრობს, მათ „აუწყეს პატრიარქსა, ვითარმედ: „ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღვდელთ-მოძღუარნი ქართლისანი არა რომელისა პატრიარქისა ხელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თუთ დაისუმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა“; ეს, მათი აზრით, არ იყო კანონიერი, რადგან მათ ქვეყანაში ქრისტიანობა ქრისტეს არც ერთ მოციქულს არ უქადაგია. რადგანაც ქართველები „უმეტარი და სამწყსოჲ მცირე“ არიან, „ჯერარს, რაათა ხელმწიფებასა ქუეშე ანტიოქელი პატრიარქისა იმწყსებოდინ“.

პატრიარქმა ისევ გიორგი ათონელი იხმო. „შენ, ჰ ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩუენივე სწორი ხარ, ჯერ არს, რომელ ეკლესიანი და

მღვდელთმომხდურნი თქუენნი ველსა ქუეშე სამოციქულოსა ამის სა-
ყდრისასა იმწყსებოდინ, და ჰმართებსცა ესრეთ მიზეზითა მახლობლო-
ბისადათა... უწყი, ვითარმედ გისმენს მეფე თქუენი, უკეთუ მიუწერო
და აუწყო უმჯობესი“.

როგორც ვხედავთ, ანტიოქიის პატრიარქს კარგად მოეხსენებოდა
გიორგის ავტორიტეტი მეფე ბაგრატ IV კარზე და მას შუამავლობასაც
კი სთხოვდა. უარის შემთხვევაში პატრიარქი იმუქრებოდა: „ხოლო
უკუეთუ არა ისმინოს, მიუწერო თხთხავე პატრიარქთა საყდრის-მოღ-
გამთა ჩუენთა და ვაუწყო თვითრჩეულობა და ქედფიცხლობა ნათესა-
ვისა თქუენისაჲ, და ვითარმედ თუნიერ სამოციქულოსა კანონისა თუთ
იმწყსებინ და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა
მათსა“.

პასუხად გიორგიმ მოითხოვა წიგნი „მიმოსლვა ანდრია მოციქუ-
ლისაჲ“, და ვიდრე შესაბამის ადგილს წაიკითხავდა, პატრიარქს მი-
მართა: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი, ვითარმედ თავისა მის მოცი-
ქულთასაჲ, პეტრეს საყდარსა ვზიო. ხოლო ჩუენ პირველწოდებულ-
სა და ძმისა თუსისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და
მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათო-
რმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩუე-
ნსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. მოტა-
ნილი საბუთები დამაჯერებელი იყო. გიორგი ათონელი ამით არ და-
კმაყოფილდა: „შუენის ესრეთ, რაჲთა წოდებული იგი მწოდებელსა
მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რაჲთა დაემორჩილოს
მწოდებელსა თუსსა და ძმასა ანდრეას, და რაჲთა თქუენ ჩუენ დაგუე-
მორჩილნეთ“, — განუცხადა მან პატრიარქს. ამრიგად, მან არათუ
გაუთანასწორა ქართული ეკლესია ბერძნულს, არამედ მასზე მაღლაც
კი დააყენა.

გიორგი ათონელმა ისიც შეახსენა პატრიარქს, რომ ქართლში არა-
სოდეს ყოფილა მწვალებლობა და რომ „იყო ყამი, რომელ ყოველ
საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არ იპოებოდა“ და მართლ-
მადიდებლობის კერად მხოლოდ ქართლის საკათალიკოსო ითვლებო-
და; VIII საუკუნეში თვით „იოანე, გუთელი ეპისკოპოსი, მცხეთას
იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სუნაქსარსა“.

გიორგიმ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება დიდი
წარმატებით დაიცვა და განამტკიცა ქართველთა მდგომარეობა შავი

მთისა და ათონის მონასტრებში. გიორგისაგან ძლეულ ანტიოქიის
პატრიარქს ისღა დარჩენოდა ეთქვა: „ხედავთ ბერსა ამას, ვითარ
მართო ესოდენსა სიმრაველსა გუერევის. ვეკრძალნეთ, ნუუკუე წი-
ნააღმდეგობა შეგუემთხვიოს და არა ხოლო თუ სიტყვით, არამედ
საქმით გუახილოს ძლეულებაჲ ჩუენი და დაგვმრწემნეს და და-
გვმრემლნეს“.

ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწეთა შორის უნდა დავასახე-
ლოთ გიორგი ათონელის მოწაფე და უერთგულესი თანამოაზრე გი-
ორგი მცირე (ხუცესმონაზონი). იგი ვანუყრელად თან ახლდა თავის
მოდღვარს საქართველოში, იერუსალიმში, შავ მთაზე, კონსტანტინო-
პოლში თუ ათონზე და დავვიტოვა შესანიშნავი თხზულება „ცხო-
ვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ“, რომელიც ფრიალ მნიშვნელოვან
საისტორიო წყაროს წარმოადგენს.

XI საუკუნეში ათონზე მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი პი-
მნოგრაფები ეზრა, ბასილი, ზოსიმე.

ქართული კულტურის დიდმნიშვნელოვანი კერა არსებობდა შავ
მთაზე, ანუ საკვირველ მთაზე, ისტორიულ სირიაში, ანტიოქიის მა-
ხლობლად (დღეს თურქეთის ფარგლებშია). ქართველთა სამონასტრო
კოლონიზაცია შავ მთაზე ფართოდ გაიშალა XI ს. 30-იანი წლები-
დან, როცა იქ დასახლდა ბევრი მოღვაწე სამხრეთ საქართველოდან
(ოშკიდან, შატბერდიდან და ა. შ.). განსაკუთრებით მრავლად იყვნენ
ქართველები სვიმეონწმინდის, რომანწმინდის ლავრებში, კალიპოსში,
კასტანაში და შავი მთის ზოგიერთ სხვა მონასტერში.

XI ს. 30-იანი წლებიდან საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე სვი-
მეონ წმინდის ლავრაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა და შავი მთის ქა-
რთველთა შორის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად ითვლებოდა გიორგი
დაყუდებული, გიორგი შავმთელად წოდებული — კაცი „ვითარცა
გურიტი უბიწო და ტრედი უმანკო, კაცი ზეცისაჲ და ანგელოზი
ქუეყანისაჲ“ (გიორგი მცირე). სწორედ მან შენიშნა გიორგი ათონე-
ლის დიდი ნიჭი და თავისი მოწაფე ათონს წარგზავნა, სადაც უკეთესი
პირობები იყო მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის. შავ
მთაზე გაიარეს შესანიშნავი ლიტერატურული სკოლა გიორგი ათონე-
ლმა და გიორგი მცირემ. გიორგი შავმთელის დავალებით თარგმნა-
ლი და გიორგი მცირემ. გიორგი შავმთელის დავალებით თარგმნა-
ლი გიორგი ათონელმა რამდენიმე თხზულება (დავითნი, სამოციქულო და
სხვ.). მანვე დაავალა გიორგი მცირეს გიორგი ათონელის ცხოვრე-
ბის აღწერა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გიორგი დაყუდებულისა და შავი მთის სხვა ქართველთა ზრუნვა ათონის საიანის წიგნსაცავის გამდიდრებაზე, მისთვის კადრების შერჩევასა და მომზადებაზე.

XI ს. მეორე ნახევარში შავ მთაზე მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები: ეფრემ მცირე, საბა თუხარელი, იოანე ფარაკნელი, ეფრემ ოშკელი, ანტონ ტბელი, არსენ იყალთოელი, იოანე-კვირიკე, გაბრიელი და სხვ.

შავი მთის ლიტერატურული სკოლის მეთაური და მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ეფრემ მცირე, რომელმაც კ. კეკელიძის სიტყვით, „მთელი ეპოქა შექმნა ქართულ მწერლობაში და დიდებულად დააგვირგვინა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სამწერლო ღვაწლი“. მისი ვინაობის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი იყო კარიჭისძე, კლარჯეთის ცნობილი ფეოდალური სახლის წარმომადგენელი. როგორც ფიქრობენ, განათლება კონსტანტინოპოლში მიიღო, სრულყოფილად შეისწავლა ბერძნული ენა, ეზიარა ბიზანტიურ კულტურას. შავ მთაზე ეფრემი XI ს. 60-იან წლებში მივიდა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სხვადასხვა საიანეში, აქტიურად მონაწილეობდა კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. მან კარგი ურთიერთობა დაამყარა ანტიოქიის მკვიდრ სწავლეულებთან, რის წყალობითაც ხელი მიუწვედებოდა შავი მთის უმდიდრეს წიგნსაცავებზე. გარს შემოიკრიბა მწიგნობარი თანამემამულეები და მრავალმხრივი საგანმანათლებლო მუშაობა გაშალა. შავ მთაზე შეიქმნა ძლიერი ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლა, დაიწერა და ითარგმნა საეკლესიო ლიტერატურის მრავალი თვალსაჩინო ძეგლი, დამზადდა ბევრი ხელნაწერი. ეფრემი XI ს. ბოლოს უნდა გარდაცვლილიყო: რუის-ურბნისის საეკლესიო კრების აქტებში (1103 წ.) იგი გარდაცვლილთა შორის იხსენიება.

ქართული კულტურის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. როგორც ცნობილია, ქართველები ჯერ კიდევ V საუკუნეში მონაწილეობდნენ პალესტინის სამონასტრო ცხოვრებაში. ამის დასტურია პეტრე იბერის მიერ იქ რამდენიმე ქართული მონასტრისა და სასტუმრო სახლის დაარსება, ქართველთა მოღვაწეობა საბაწმინდის ლავრაში. არაბთა შემოტევის უამს ქართველებმა, ძირითადად, სინას მთას შეაფარეს თავი, XI ს. დასაწყისიდან კი, არაბთა შესუსტების შემდეგ ქართველებმა

კვლავ მიაშურეს პალესტინის წმინდა ადგილებს და იქ რამდენიმე ქართული მონასტერი დააარსეს. ჯვრის მონასტერი XI ს. 40—50-იან წლებში უნდა იყოს აშენებული. იგი იერუსალიმის მახლობლად მდებარეობდა (ამჟამად ქალაქის ფარგლებშია). ეს წმინდა ადგილი იყო: ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი გადმოცემით, იქაური ხისაგან დამზადებულ ჯვარზე აცვეს იესო ქრისტე. ჯვრის მონასტერი მალე იქცა პალესტინაში მოღვაწე ქართველთა რელიგიური და კულტურული საქმიანობის ცენტრად.

დასახელებული მონასტერი ექვთიმე ათონელის მითითებით აუშენებია გიორგი-პროხორე ქართველს, რომელიც წარმოშობით შავმთიდან ყოფილა. „იწყო შენებად მონასტრისა მახლობლად იერუსალიმისა, დასავლეთით კერძო, რომელსა უწოდიან ჯუარისა მონასტერი. და აღაშენა, და განასრულა, და შეამკო ეკლესია ყოველითა სამკაულითა“, მოგვითხრობს „პროხორეს ცხოვრების“ ანონიმი ავტორი. მონასტრის ამშენებლისათვის დიდი დახმარება გაუწევია ბაგრატ IV და მის დედას—დედოფალ მარიამს, რომელმაც გიორგი ათონელის ხელით უხვი შეწირულება გაუგზავნიათ გიორგი-პროხორესათვის.

ზოგიერთი ცნობით, ჯვრის მონასტერი V საუკუნეში უნდა იყოს დაარსებული. გადმოცემით, მონასტრისათვის ადგილი იშოვნა მირიან მეფემ, შემდგომში კი იმ ადგილას ვახტანგ გორგასალმა (ან მისი დახმარებით პეტრე იბერმა) ტაძარი ააშენა. თუმცა მკვლევართა ხელთ არსებული მასალა ამ გადმოცემას არ ადასტურებს.

გიორგი-პროხორემ გარს შემოიკრიბა ქართველი მწიგნობრები. იგი ხელმძღვანელობდა მათ მუშაობას, ხელნაწერთა გამრავლებას და თავადაც ნაყოფიერ მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდა. ჯვრის მონასტერში არაერთი ორიგინალური თხზულებაც შეიქმნა (მათ შორის, თვით „პროხორეს ცხოვრებაც“), მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს საიანე, ძირითადად, კალიგრაფთა კერა იყო და, საერთოდ, პალესტინელ ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა ძველებურად (VIII—X სს.) ფართო და მასშტაბურ ხასიათს აღარ ატარებდა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული იერუსალიმის ბიზანტიური სამყაროსაგან მოწყვეტა და ბიზანტიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ქართულ საიანეებში ქართველთა შემოქმედებითი მუშაობის ცენტრის გადანაცვლება იყო.

ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებისა და იერუსალიმის სამეფოს შექმნის შემდეგ (1099—1187 წწ.) მართლმადიდებლური ტაძრების უმრავლესობა ლათინებმა დაისაკუთრეს. ქართველებმა შეინარჩუნეს ჯვრის მონასტერი, თუმცა ამისათვის დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რადგან ჯვაროსნები მძიმე გადასახადებით ბეგრადენ მონასტერს და ცდილობდნენ მასზე უფლებების მოპოვებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ 1178—1184 წწ. იერუსალიმში მყოფ ნიკოლოზ გულაბერისძეს მოუხდა მონასტრის ვენახის გამოსყიდვა და სერიოზული ზრუნვა მონასტრის ქონებისა და მამულების დაცვისათვის.

1187 წელს, სულთან სალადინის წარმატებული ლაშქრობის შედეგად, იერუსალიმი მაჰმადიანებმა დაიპყრეს. სალადინის ისტორიკოსის ცნობით, იმავე წელს იერუსალიმში თამარის გავზავნილი საგანგებო ელჩობა ჩავიდა და სულთანს იერუსალიმის წმინდა ადგილებზე ქართველთა უფლებების დაცვაში შემწეობა სთხოვა. თამარის დიპლომატიურმა ნაბიჯმა უზრუნველყო იერუსალიმის ქართული საგანგებო შეუვალობა და იქ მცხოვრებ ქართველთა ხელშეუხებლობა.

თამარის მეფობის პერიოდს უკავშირდება შოთა რუსთაველის ჯვრის მონასტერთან ურთიერთობის საკითხიც, რომელიც საბოლოოდ გარკვეული არ არის. ერთი ვერსიით, რუსთაველმა განაახლა და მოახატინა ჯვრის მონასტერი, მეორე ვერსიის თანახმად კი იგი იქ აღიკვეცა ბერად, იქვე აღესრულა და დაიკრძალა კიდეც. ამ ვერსიას დამაჯერებლობა შეჰმატა 1960 წ. ჯვრის მონასტერში მიკვლეულმა რუსთაველის პორტრეტმა წარწერითურთ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საბუთი ჯვრის მონასტერში რუსთაველის ყოფნის დასამტკიცებლად. შესაძლოა, შემდგომმა კვლევამ მეტი ნათელი მოჰფინოს ამ საკითხს.

XIII ს. მეორე ნახევრიდან იერუსალიმის ქართული კოლონიის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მონღოლთა შემოსევებით დასუსტებულ ქართულ სახელმწიფოს აღარ შესწევდა ძალა წმინდა ადგილების დასაცავად და შესანარჩუნებლად. ქართველებმა ერთხანს კიდევ შეინარჩუნეს ძველი პატივი და დიდება იერუსალიმში, მაგრამ თანდათან ვითარება მათთვის არასასურველად შეიცვალა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული საგანე მდებარეობდა ბულგარეთში, ქ. ფილიპოპოლიდან (პლოვდივი) 28—30 კილომეტრზე, მდინარის თვალწარმტაც ხეობაში. ეს იყო პეტრიწონის მონასტერი

(რადგან უკანასკნელ ხანს სოფ. პეტრიწონი დავიწყებას მიეცა და დაწინაურდა სოფ. ბაჩკოვო, საიდანაც მიემართება გზა მონასტრისაკენ, ახლა მას ბაჩკოვოს მონასტერს უწოდებენ).

ეს მონასტერი 1083 წ. დაუარსებია გრიგოლ ბაკურიანისძეს. იგი ტაოელი ერისთავთერისთავის ბაკურიანის შვილი იყო, როგორც ფიქრობენ, ბაგრატიონთა გვარიდან; ბიზანტიის სახელმწიფოებრივ და სამხედრო ასპარეზზე დაწინაურდა და ჯერ აღმოსავლეთი, შემდეგ კი დასავლეთი პროვინციების ჯარების მთავარსარდლის პოსტი დაიკავა. მას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი სამშობლოსთან, „ყოველთა ქართველთა მასპინძლის“ სახელი დაიმკვიდრა და მმასთან — აბაზთან — ერთად ბევრი რამ გააკეთა უცხოეთში მოღვაწე ქართველებისა და ქართული საგანგებო საკეთილდღეოდ. უკვე ხანდაზმულმა „თემსა შინა ფილიპოპოლისასა, საზღვართა შინა სოფლისა მის, რომელსა პეტრიწონ ეწოდების“, დააარსა ქართული საგანე, რომელსაც პეტრიწონის მონასტერი ეწოდა. აქ მან ააგო დიდი ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე, ორი მომცრო ეკლესია — იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგისა, აგრეთვე სენაკები და სათავსოები. დროთა განმავლობაში დიდი ტაძარიცა და სხვა ნაგებობებიც დაინგრა და ჩვენამდე გვიანდელი (XVII ს.) სახით მოაღწია. მთავარი ტაძრიდან 200-ოდ მეტრის დაშორებით გრიგოლმა ააგო სამკაღე — ერთნავიანი ორსართულიანი შენობა, რომლის ზედა სართული ეკლესიაა, ქვედა კი — აკლამები. ეს ერთადერთი ნაგებობაა, რომელიც ჩვენამდე პირვანდელი სახით მოვიდა. იგი შესანიშნავად იყო მოხატული; ფრესკები დღესაც იპყრობს ყურადღებას. აქ შემოინახა გრიგოლისა და მისი ძმის აბაზის, ილარიონ ქართველის, ექვთიმე ათონელის და სხვა ქართველ მოღვაწეთა გამოსახულებები. საძვალის მხატვრობა XII—XIV საუკუნეებისა უნდა იყოს.

მონასტრის დასრულებისთანავე გრიგოლ ბაკურიანისძემ მას შეუდგინა ტიპიკონი, რომელიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მონასტრის დაარსებისა და დამაარსებლის, იურიდიული სტატუსის, ეკონომიკური მდგომარეობის, საქართველო-ბულგარეთ-ბიზანტიის ურთიერთობის, საეკლესიო ორგანიზაციისა და სამონასტრო ცხოვრების შესახებ. ტიპიკონიდან ჩანს, რომ გრიგოლ ბაკურიანისძემ სავანეს შესწირა სოფლები, სახნავ-სათესი და საძოვრები, ზვრები, ტყეები, ტბა, წისქვილი, ასევე საეკლესიო ნივთები, წიგნები; აუშენა

სასწრაფო, სასტუმროები. მანვე განსაზღვრა მოღვაწეთა რაოდენობა, დაადგინა წინამძღვარი, გამოიწვნა თანამდებობის პირთა ფუნქციები, გაათავისუფლა მონასტერი ყოველგვარი (სამეფო, საპატრიარქო და სხვ.) გადასახადისაგან.

ტიპიკონიდან ჩანს, რომ მონასტერი მხოლოდ ქართველთათვის ყოფილა განკუთვნილი. იქ შეიძლება მხოლოდ ერთი ბერძენი ყოფილიყო — მწერალი, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მიმოწერა მონასტერსა და ადგილობრივ საერო ხელისუფლებას შორის. ღვთისმსახურება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა აღსრულებულიყო, ბერებადაც მხოლოდ ქართულის მცოდნე პირებს იღებდნენ.

პეტრიწონის ტიპიკონი საინტერესოა ლიტერატურული თვალსაზრისითაც. აღსანიშნავია, რომ თუმცა ტიპიკონი არაერთ ქართულ მონასტერს ჰქონდა, ზოგი მათგანი დაიკარგა, ზოგი კი ფრაგმენტულად შემორჩა; პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც ქართულად და ბერძნულად დაუმზადებიათ, ერთადერთია, ჩვენამდე თითქმის უვნებლად რომ მოაღწია.

პეტრიწონის საეკლესიო არსებობდა სემინარია, სადაც სწავლა და განათლება ქართულად მიმდინარეობდა. პეტრიწონის სემინარიაში ოცი წლის მანძილზე მოღვაწეობდა დიდი ქართველი მოაზროვნე იოანე, რომელსაც მოღვაწეობის ადგილის მიხედვით პეტრიწონელი ან პეტრიწი ეწოდა.

იოანეს განათლება ბიზანტიაში მიუღია — როგორც ფიქრობენ, მანგანის აკადემიაში. იგი აქტიური მონაწილე იყო იმ ფილოსოფიური მოძრაობისა, რომელიც ბიზანტიაში გაიშალა მიქაელ პსელისისა და იოანე იტალოსის ხელმძღვანელობით. როცა ეს უკანასკნელი გაასამართლეს და გააძევეს (1083 წ.), მისი თანამოაზრეები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და იძულებული იყვნენ, დაეძალონ დაეტოვებინათ. როგორც ჩანს, იოანემაც მაშინ დატოვა კონსტანტინოპოლი და პეტრიწონის ახლადდაარსებულ საეკლესიო მიაშურა. აქ მან სათავე დაუდო ფილოსოფიურ-ლიტერატურულ სკოლას, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული ფილოსოფიის განვითარებას, ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შემუშავებას. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა, „ამ სკოლამ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს მწერლობაში, მეტად ნაყოფიერი და საყურადღებო“.

XII ს. დამდეგს იოანეს პეტრიწონის დატოვება მოუხდა. მან სა-

მშობლოს მოაშურა და გელათის აკადემიაში განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა.

გრიგოლ ბაკურიანისძე 1086 წ. დაიღუპა პაჭანელებთან ბრძოლაში. შემდგომში ერთხანს პეტრიწონის მონასტერი მარიამ დედოფლის — ბაგრატ IV ასულისა და ბიზანტიის იმპერატორის მეუღლის საკუთრება იყო. მას არ აკლდა ქართველ მეფეთა დახმარება. 1204 წ. პეტრიწონი ჯვაროსნებმა დაარბიეს. XIV ს. დასაწყისში იქ კიდევ მკვიდრობდნენ ქართველები.

ამავე ხანაში ქართული საეკლესიო არსებულა კუნძულ კვიპროსზე. ეს იყო ქართული მონასტერი ქალია თუ ღალია, რომელიც განუახლებია თამარს: „კუალად კუპრეს დაღია შეამკო და უყიდა შესავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისა“. — მოგვიხსრობს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ — ს. ავტორი.

გრძელდებოდა ქართველთა კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა სინას მთაზე. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა იქ აავო ეკლესია-სენაკები, გაუგზავნა მათ უხვი შესაწირავი და საეკლესიო წიგნები. სინას მთის ქართულ საეკლესიო გულუხვად ეხმარებოდა თამარიც.

სამონასტრო ცენტრების გარდა, ქართველები ჩანან ბიზანტიის სასწავლო დაწესებულებებშიც. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია კონსტანტინე IX მონომახოსის (1042—1055 წწ.) მიერ კონსტანტინოპოლში დაარსებული მანგანის აკადემია, სადაც უსწავლიათ ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს — იოანე პეტრიწს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს და სხვებს; შემდგომში მათ ამ უმაღლესი სასწავლებლის ტრადიციები დანერგეს ქართულ საეკლესიო (გელათი, იყალთო, შავი მთა).

2. საისტორიო მხარეობა

XI—XIII სს. ქართული საისტორიო აზროვნების აღმავლობის ხანაა. თამარის ისტორიკოსის თხზულებაში საისტორიო ნაწარმოების აღსანიშნავად პირველად ვხვდებით ტერმინს „ისტორია“. იგივე ავტორს შემოაქვს ტერმინი „ისტორიათა-აღმწერლობა“.

აღნიშნული პერიოდის ისტორიკოსები ფართოდ სარგებლობდნენ სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროებით — როგორც წერილობითი